# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 27 ოქტომბერი 2005 №247 (2570) ფასი 50 თეთრი




**ლევან ცქიტიშვილს ბაიერნი მკურნალობს**

ვოლფსბურგს ჯანმრთელი ქართველი არ ეღირსა

3



**მე რა შუაში ვარ?**

სეტუბალმა მაურინიუს ფული მოსთხოვა

6



**მტაცებლის მუქარა**

სუპერმარიომ მსაჯზე გაიწია

14

# ახალკაცური დიპლომატია

## პრეზიდენტმა იაშვილი შემოირიგა



ბელგიიდან დაბრუნებული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი დღეს პრესკონფერენციას გამართავს. 12 და 16 ნოემბერს ჩვენი ეროვნული ნაკრები ამხანაგურ მატჩებს ითამაშებს ბულგარეთის და იორდანიის ეროვნულ გუნდებთან და ახალკაცი დღევანდელ პრესკონფერენციაზე ალბათ ამ კარსმომდგარ შეხვედრებზეც ისაუბრებს. სანაკრებოდ ახალკაცი იმადაც გაისარჯა, რომ გუნდის თავკაც გაიოზ დარსაძესთან უბრად მყოფი ალექსანდრე იაშვილი შემოირიგა, რაც გუშინ თვითონ იაშვილმაც დაგვიდასტურა.

# მსოფლიოს სამი ქართული ბურჯი




თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს ნაკრებში სამი ქართველი, ლუკა კურტანიძე, რევაზ მინდორაშვილი და ოთარ თუშიშვილი მიიწვიეს. ამ სამეულთან ერთად მსოფლიოს რჩეულნი რუსეთის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

# ახალკაცი იაშვილს ნაკრებში აბრუნებს

*საქართველოს ეროვნული ნაკრების ბოლო სამ მატჩში „ფრაიბურგის" 28 წლის შემტევ ალექსანდრე იაშვილს არ უთამაშია. გახსომებათ, მას გაიოზ დარსაძესთან კონფლიქტი მოუვიდა და ნაკრებში აღარ იწვევდნენ. ვინ იყო ამ კონფლიქტის ინიციატორი, ამას ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს — თითქმის გადაწყვეტილია, რომ იაშვილი ეროვნულ ნაკრებს 12 და 16 ნოემბერს ბულგარეთთან და იორდანიასთან მატჩებისთვის დაუბრუნდება.*
*მანამდე კი, გუშინწინ, „ფრაიბურგმა" გერმანიის ლიგის თასის მეორე ეტაპზე „ბრაუნშვაიგს" 4:1 მოუგო და იაშვილმა ერთი გოლი გაიტანა, მეორე ბუნდესლიგაში კი „ფრაიბურგი" მეშვიდე ადგილზეა...*



— მეორე ბუნდესლიგაში ლიდერთა შორის არ ხართ — „ფრაიბურგს" პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნება ამ სეზონში მიზნად არ დაუსახავს?

— როგორ არა, პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნება ჩვენთვის აუცილებელია. ახლა მეშვიდე ადგილზე ვართ, მაგრამ საუკეთესო სამეულს მხოლოდ ორი ქულა გვაშორებს. მართალია, წინა ტურში სტუმრად „ბოხუმთან" 0:4 წავაგეთ, მაგრამ ერთი თამაში არაფერს წყვეტს.

— შენი ფრაიბურგელი თანაგუნდელის, ოთარ ხიზანეიშვილის სარეაბილიტაციო პერიოდი როგორ მიდის?

— ოთარი კი ვარჯიშობს, მაგრამ სრული დატვირთვით ჯერ ვერა. როცა საშუასეზონო მოსამზადებელი შეკრება გვექნება, იმ დროისთვის ხიზანეიშვილმა სრული დატვირთვით უნდა შეძლოს ვარჯიში.

— დაუბრუნდება თუ არა იაშვილი ეროვნულ ნაკრებს — ამის შესახებ ახალი არაფერია?

— ნოდარ ახალკაცმა დამირეკა და ამის თაობაზე ვისაუბრეთ.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ბულგარეთთან და იორდანიასთან მატჩებისთვის გამოგიძახებენ?

— იმედია, რომ ასე იქნება. ყოველ შემთხვევაში, ახალკაცთან საუბრის შემდეგ ასე უნდა იყოს.

— გაიოზ დარსაძესთან არ გისაუბრია?

— არა, მაგრამ ახალკაცმა მითხრა, გვჭირდებიო.

— მოკლედ, ნაკრებს უბრუნდები...

— ფაქტია, რომ ყველაფერი აქეთკენ მიდის.

**დავით თავართქილაძე**

# სტოიჩკოვისეული



სვეტოსლავ ტოდოროვი

*მეკარეები:* სტოიან კოლევი (ლოკომოტივი, პლოვდივი), დიმიტარ ივანკოვი (ქაისერისფორი, თურქეთი);
*მცველები:* ალექსანდრ ტუნჩევი (ლოკომოტივი, პლოვდივი), დანიელ ბოჟკოვი (ბოტევი), ნიკოლაი დომაკინოვი (ბოტევი), ასენ კარასლავოვი (სლავია), იანკო ვულკანოვი (სლავია);
*ნახევარმცველები:* კალოიან კარადჟინოვი (ლოკომოტივი, სოფია), მარჩო დაჩევი (ლოკომოტივი, სოფია), ზრდავკო ლაზაროვი (გაზიანთეფსფორი, თურქეთი), ჩავდარ იანკოვი (ჰანოვერი, გერმანია), ბლაგოი გეორგიევი (სლავია), მარტინ კამბუროვი (ლოკომოტივი, პლოვდივი), გეორგი ილიევი (ლოკომოტივი, პლოვდივი), სტილიან პეტროვი (სელტიკი, შოტლანდია), მარტინ პეტროვი (ატლეტიკო, ესპანეთი);
*თავდამსხმელები:* დიმიტარ ბერბატოვი (ლევერკუზენი, გერმანია), ვალერი ბოჟინოვი (ფიორენტინა, იტალია), სვეტოსლავ ტოდოროვი (პორტსმუთი, ინგლისი), ცვეტან გენკოვი (ლოკომოტივი, სოფია).

**12 ნოემბერს** რომ საქართველოს ნაკრები სოფიაში ბულგარეთს შეხვდება, გეცოდინებათ. ბულგარელთა თავკაცმა ხრისტო სტოიჩკოვმა საამმატჩოდ რჩეულნი უკვე დაასახელა — სიაში 20 ფეხბურთელია.

საინტერესოა, რომ სტოიჩკოვმა ნაკრებში დააბრუნა ინგლისური „პორტსმუთის" თავდამსხმელი, 27 წლის სვეტოსლავ ტოდოროვი, რომელსაც ეროვნული გუნდის მაისურა 2003 წლის ივნისის შემდეგ არ მოურგია.

როგორც ხედავთ, ხრისტო სტოიჩკოვის განკარგულებაში არ არიან ბულგარეთის წამყვანი გუნდების — ცსკას, „ლევსკის" და „ლიტექსის" ფეხბურთელები. ისინი მწვრთნელმა შეგნებულად არ გამოიძახა, რადგან ეს გუნდები უეფას თასზე თამაშობენ და სტოიჩკოვიც ამ გუნდების თავკაცების თხოვნას გაგებით მოეკიდა.

**გიორგი გუგაძიძე**

## ინგლისი

I ლიგა
გადადებული მატჩი
ჩესტერფილდი 3:0 ბრისტოლი

ლიგის თასი
II ეტაპი
ბირმინგემი 2:1 ნორვიჩი
კარდიფი 0:1 ლესტერი
ჩელსი 1:1 ჩარლტონი 4:5 პ.
გრიმსბი 0:1 ნიუკასლი
ბოლტონი 1:0 ვესტ ჰემი
მანჩესტერი 4:1 ბარნეტი
ევერტონი 0:1 მიდლსბრო

## გერმანია

თასი
II ეტაპი
ოსნაბრიუკი 2:2 მაინცი 2:4 პ.
ოფენბახი 2:1 კარსლრუე
მიუნხენი 3:2 დუისბურგი
ჰერტა 3:0 გლადბახი
ჰანზა 3:2 შტუტგარტი
ჰამბურგი 3:2 ლევერკუზენი
არმინია 2:1 კოტბუსი
აუე 0:1 ბაიერნი

## შოტლანდია

პრემიერლიგა
XII ტური
ლივინგსტონი 2:2 რეინჯერსი
ივერნესი 0:3 ფოლკირკი
ჰართსი 1:0 კილმარნოკი
დანფერმლაინი 1:2 ჰიბერნიანი
სელტიკი 5:0 მოზერუელი

I დივიზიონი
XII ტური
დანდი 3:3 კლაიდი

## ჰოლანდია

ამსტელის თასი
III ეტაპი
უტრეხტი 1:1 ვოლო 1:2 დ.დ
ვალვაიკი 1:1 ტვენტე 1:2 დ.დ
გრონინგენი 3:0 დენ ჰააგი
ნაიმეგენი 1:1 ბრედა 2:2 დ.დ 5:4 პ.

## პორტუგალია

თასი
I ეტაპი
სპორტინგი 2:0 ვარზიმი
აკადემიკა 2:2 ჟილ ვისენტე
ფიერენსე 1:1 პინალოვენსე
ბრაგა 0:0 ლეირია
ავეში 1:0 ბელენენსეში
ლეიშოიეში 1:2 ბენფიკა
პორტუ 1:0 მარკუ

## დანია

სუპერლიგა
XV ტური
ორჰუსი 3:3 ვიბორგი
ჰორსენსი 0:0 სილკებორგი
მიდტიულანდი 1:1 ნორდსიელანდი
ოდენსე 0:2 ოლბორგი
სონდირიისკე 1:4 კოპენჰაგენი
ესბიერგი 0:0 ბრონდბიუ

II დივიზიონი
გადადებული მატჩი
ფრემი 1:0 ჰერფოლგე

## სლოვენია

სი მობილ ლიგა
XIII ტური
ბელა კრაინა 1:1 დომჟალე
დრავა 1:0 პუბლიკუმი
ნაფტა 0:4 მარიბორი
გორიცა 3:0 კოპერი
რუდარი 0:4 პრიმორიე

## იტალია

სერია A
IX ტური
ინტერი 2:3 რომა
ემპოლი 1:3 მილანი
ასკოლი 1:1 უდინეზე
კალიარი 1:1 ლივორნო
რეჯინა 1:2 ტრევიზო
სიენა 0:2 ფიორენტინა
პარმა 1:1 მესინა
იუვენტუსი 2:0 სამპდორია
ლაციო 2:2 კიევო
პალერმო 3:0 ლეჩე

სერია B
XII ტური
მანტოვა 1:0 ტორინო
პესკარა 1:0 რიმინი

## ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
VIII ტური
ბეტისი 2:3 ვილიარეალი
მალიორკა 1:0 სელტა
ოსასუნა 3:2 ბილბაო
ბარსელონა 2:0 მალაგა
დეპორტივო 3:1 რეალი

## ავსტრია

მაქსბუნდესლიგა
XVI ტური
ადმირა 1:2 პაშინგი
რიდი 3:2 მატერსბურგი
შტურმი 0:0 აუსტრია
ტიროლი 3:0 ზალცბურგი

## საფრანგეთი

ლიგის თასი
I ეტაპი
ბორდო 1:0 მარსელი
ლე მანი 2:1 კლერმონი
ლავალი 0:1 გინგამი
ლე ავრი 0:0 ტულუზი 0:1 დ.დ
მონაკო 1:0 დიჟონი
ნიცა 0:0 შატორუ 2:0 დ.დ
აიაჩო 2:2 გრენობლი 4:2 დ.დ
კაენი 1:0 სტრასბური
ლანსი 2:3 ოსერი
მონპელიე 1:0 რენი
ნანსი 1:0 სოშო
პსჟ 4:1 ტრუა
სედანი 1:0 მეცი
სენტ ეტიენი 0:2 ლილი

## თურქეთი

თასი
მერვედფინალი
კონია 1:1 ბეშიქთაში
დიარბაქირი 0:1 მალათია
გაზიანთეფი 2:0 ერზიესი
ანკარაგიუჩიუ 2:3 ფენერბაჩე
სარიერი 2:3 სამსუნი

## ხორვატია

NHL
XIII ტური
ციბალია 4:0 რიეკა
მედიმურიე 1:4 ვარტექსი
პულა 3:0 ინტერი
ზაგრები 1:2 ჰაიდუკი
კამენი 0:0 სლავენი
დინამო 3:1 ოსიეკი

## ჩეხეთი

თასი
I ეტაპი
კლადნო 0:2 სპარტა
პრიბრამი 1:2 ბანიკი
ვიტკოვიცე 0:1 სლავია

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80




ვოლფსბურგელებმა ლევან ცქიტიშვილი აი, ამ მანქანით დაასაჩუქრეს

# ლევან ცქიტიშვილს ბაიერნი მკურნალობს

**გერმანული** „ვოლფსბურგის" ქართველმა ნახევარმცველმა *ლევან ცქიტიშვილმა* ტრავმის შემდეგ ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიში კი განაახლა, მაგრამ გუშინ ისევ საექიმო შეიქნა და კლუბმაც სასწრაფოდ მიუნხენში გაამგზავრა. ცქიტიშვილი „ბაიერნის" ექიმებს გაესინჯა და უკან მათივე რეცეპტით დაბრუნდა...

— „ბაიერნს" გერმანიაში საუკეთესო სამედიცინო ცენტრი აქვს და სწორედ იქ მირჩიეს მკურნალობა. მიუნხენში რამდენიმე საათით ვიყავი, ნემსი გამიკეთეს და დანიშნულებაც მომცეს. ვარჯიშს გავაგრძელებ, თუმცა დატვირთვებს მოვერიდები. ვნახოთ, მიუნხენელების თქმით, კუნთის ტკივილმა ერთ-ორ დღეში უნდა გამიაროს, თუ არა, მაშინ „ბაიერნის" ექიმებს ორშაბათს კიდევ ჩავეკითხავ და მკურნალობას იქ გავაგრძელებ — გვითხრა ლევან ცქიტიშვილმა, ვისაც ტრავმის გამო უკვე სამი კვირა გაუცდა და ტვენტელი გოგა გახოკიძის მსგავსად ექიმიდან ექიმთან დადის. ლევან ცქიტიშვილს ორჯერ სხვადასხვანაირი დიაგნოზი დაუსვეს და მისივე თქმით, ამიტომაცაა ახლა უქმად.

„კუნთის ტკივილის ზუსტი მიზეზი ვერ გაიგეს, ერთი კვირა საექიმო კაბინეტიდან არ გამოვსულვარ, მაგრამ საიმედო ვერაფერი მითხრეს. ბოლოს ზურგზე რენტგენი გადამიღეს და მაშინ გამოჩნდა, რომ ნერვი ყოფილა დაზიანებული, ხერხემლიდან კი ტკივილი ფეხის კუნთს გადაეცემოდა. იგივე მითხრეს ახლაც მიუნხენში — ასეთი ტრავმა თურმე „ბაიერნის" რამდენიმე ფეხბურთელსაც აწუხებდა. მოკლედ, ორი დღე ისევ ცალკე ვივარჯიშებ, ტკივილმა თუ გამიარა, მერე დატვირთვასაც მოვუმატებ და ალბათ მომავალ კვირაში გუნდსაც შევუერთდები. იმედი მაქვს, მიუნხენში მეორედ ჩასვლა აღარ დამჭირდება."

ამასობაში კი სანაკრებო ამხანაგური მატჩები ახლოვდება. შეძლებს ლევან ცქიტიშვილი ბულგარეთთან და იორდანიასთან თამაშს?

„ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გერმანიაში იყო და ამას წინათ დამიკავშირდა, ჯანმრთელობის ამბავი მკითხა. ბულგარეთთან მატჩამდე თუ მოვახერხე სათამაშო ფორმის აღდგენა, ნაკრებშიც გამომიძახებენ და, რა თქმა უნდა, ჩამოვალ, თუ არა და, ფედერაციის პრეზიდენტმა და მწვრთნელმა ისედაც იციან ჩემი პრობლემები და ნაკრებში ჩემი თამაშიც სამომავლოდ გადაიდება.

**კობა ინასარიძე**

# თბილისის დინამომ სახვაძე მოაგვარა



**გუშინ** საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამომ" ირანული „საბა ბათერიდან" წამოსული არჩილ სახვაძე ჩემპიონატის განაცხადში შეიყვანა და შეუძლია, უკვე ამ უქმეებზე „ლოკომოტივის" წინააღმდეგ ათამაშოს კიდეც.

სახვაძე, როგორც აქამდე ვწერდით, „დინამოსთან" ერთად ორი კვირაა, ვარჯიშობს, მაგრამ ირანელებთან მცირე ფორმალური პრობლემების გამო მისი ოფიციალურად გაფორმება თბილისელებმა ვერ შეძლეს. გუშინ კი ყველა საბუთი გამზადდა და ფეხბურთის ფედერაციამაც არჩილს ჩემპიონატში თამაშის უფლება მისცა.

ამ გამოცდილი ფეხბურთელის დამატება თბილისის „დინამოს" დანაკლისს, ალბათ, ცოტათი მაინც შეუმსუბუქებს. შეგახსენებთ, არჩილ სახვაძე მარცხენაფლანგელი ჰავბეკია, ამ პოზიციაზე კი „დინამოს" სტაბილურად მოთამაშე ფეხბურთელი არ ჰყავს — გუნდის ერთი ლიდერი შოთა ბაბუნაშვილი ხომ დაშავებულია.

მოკლედ, სახვაძის სახით „დინამომ" სერიოზული ძალა შეიძინა.

**კობა ინასარიძე**

# გიგიაძე აზრზე ვერ მოდის

**„კრივბასის"** ქართველ თავდამსხმელ ვასილ გიგიაძეს უკრაინაში საკმაოდ აფასებენ, მას გუნდის უდავო ლიდერად თვლიან. წინა შაბათს კი „კრივბასი" კიევის „დინამოსთან" შინ 0:1 დამარცხდა და გიგიაძემ ისეთი მომენტი გააფუჭა, უკრაინელები ხუმრობით ამბობდნენ, ვაით კიეველებმა ხომ არ იყიდესო.

29 წლის ქართველი ამ მომენტს ასე იხსენებს: „დინამოელთა მეკარე ანდრეი შოვკოვსკიდა მედგა წინ, მაგრამ ბოლოწამს ფეხი დამიცდა. მეორე ეპიზოდიც იყო, როცა გოლის გატანა შემეძლო, თუმც დღემდე აზრზე ვერ მოვდივარ, როგორ ავაცილე. არადა, კიეველებთან მოგება ან ქულის აღება თავისუფლად შეგვეძლო. სტუმრები იშვიათად ქმნიდნენ მომენტებს, ჩვენ კი, სულ ცოტა, სამჯერ შეგვეძლო გოლის გატანა".

**ლუკა თალაკვაძე**

# გამეზარდაშვილი სკონტოს არ ნანობს

## აბა, მანდ რა მეკეთებინა...

*ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილი მცველი დავით გამეზარდაშვილი ლატვიურ „სკონტოში" რომ გადავიდა, ადრეც გაუწყეთ. მან უკვე თამაშიც მოასწრო იქაურ ჩემპიონატში და, როგორც თავად გვითხრა, უკმაყოფილების საბაბი არავისთვის მიუცია. სხვათა შორის, გამეზარდაშვილი მეხუთე ქართველია „სკონტოში" ლევან კორღალიძის, ზურაბ მენთეშაშვილის, ზაალ ელიავასა და დავით ჩალაძეს შემდეგ. დათოს რიგაში გუშინ დავუკავშირდით და იქაური ამბები გამოვკითხეთ...*



— „სკონტოსთან" რა სახის კონტრაქტი გააფორმე?

— სამწლიანი ხელშეკრულებაა, თავიდანვე ასე დაიწყო ლაპარაკი და შეთანხმებაც არ გაგვჭირვებია.

**— პირობებით კმაყოფილი ხარ?**

— ნორმალური პირობებია, ვერ ვიტყვი, რომ რამე საწუწუნო მაქვს. მთავარი კი ისაა, რომ კარგი სავარჯიშო პირობები გვაქვს. უაზრო პრობლემები არ გვაწუხებს... ეს არცთუ უმნიშვნელო ფაქტორია ჩემთვის.

**— რიგაში კარგა ხნის ჩასული ხარ და აქამდე რატომ გაჯანჯლდა ეგ საქმე?**

— რაღაც დეტალები იყო შესათანხმებელი. ფაქტობრივად, 99 პროცენტით „სკონტოს" ფეხბურთელი ვიყავი, მაგრამ ხელმოწერამდე მაინც მოცდამ მომიწია.

**— დებიუტზე რას იტყვი?**

— მგონი, ნორმალურად ვითამაშე. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელს სასაყვედურო რომ ჰქონოდა, აუცილებლად მეტყოდა.

**— შეიძლება ითქვას, ლატვიურ ფეხბურთს თვალი უკვე შეავლე და საქართველოს ჩემპიონატს როგორ შეადარებ?**

— რომ ვთქვა, დიდი განსხვავებააო, მოგატყუებ. გაკვირვებით არაფერს გავუკვირვებივარ, ეგაა, ჩვენზე ცოტათი სწრაფად თამაშობენ. უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ფიზიკურ მომზადებას.

**— და ალბათ გუნდებიც წელგამართულები არიან...**

— ულაპარაკოდ. ფინანსურად შედარება უბრალოდ არც შეიძლება. ამ მხრივ ძალიან გვჯობნიან.

**— „ტორპედოდან" წასვლას რომ აპირებდი, ბევრი ვარიანტი გქონდა და არჩევანით კმაყოფილი ხარ?**

— კმაყოფილი ვარ იმით, რომ საქართველოდან წამოვედი. მანდ გაჩერება უბრალოდ აღარ მინდოდა. მოკლედ, „სკონტოში" ჩარიცხვას არ ვნანობ და ვნახოთ, მომავალში რა როგორ იქნება.

— „სკონტომდე" კი იაროსლავლის „შინიკშიც" იყავი და ამბობდნენ, ეს ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილიაო. რა მოხდა მერე?

— „შინიკი" ჩემი ყველაზე რეალური ვარიანტი იყო. იაროსლავლშიც ჩავედი, გუნდთანაც ვივარჯიშე, პრეზიდენტსაც ველაპარაკე და ყველაფერზე შევთანხმდით, მაგრამ... არაფერი გამოვიდა.

**— რატომ?**

— საქმე ისაა, რომ „ტორპედოდან" თავისუფალი არ ვიყავი და რაღაც თანხა იყო გადასახდელი. მაშინდელი „ტორპედოს" პრეზიდენტი ზურაბ ხინიკაძეც შეხვდა „შინიკის" პრეზიდენტს. ილაპარაკეს, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ. არადა, უკვე პირობებზეც კი ვიყავით მოლაპარაკებულნი.

**— მოსკოვის „ლოკომოტივი"?**

— ეგ იმდენად რეალური არ ყოფილა. „ლოკომოტივში" იმ დროს მივედი, როცა ყველაფერი აწყობილ-დალაგებული იყო, ჩემპიონატიც დაწყებული დამხვდა. თან „ლოკომოტივი" უფრო სხვა დონის კლუბია და ასე იოლად შუა ჩემპიონატში უცნობი ფეხბურთელის აყვანა ცოტა ძნელია. მოკლედ, ბევრი ვიარე თუ ცოტა, ახლა „სკონტოში" ვარ.

**კახა შალამბერიძე**



ბოლნისის „სიონის“ მომავალი, როგორც იცით, პირდაპირ კავშირშია სააქციო საზოგადოება „მადნეულთან“, რომლის ტენდერი გუშინ გაიმართა და მყიდველის ვინაობაც მალე გაცხადდება.

გეცოდინებათ, „მადნეულის“ ახალ მფლობელს, ხელშეკრულების თანახმად, გარკვეულწილად „სიონის“ პატრონობაც მოუწევს. აქამდე კი „მადნეულის“ აწ უკვე ყოფილი ხელმძღვანელობა „სიონს“ ვერ ეხმარებოდა და მთელი სიმძიმე ბოლნისის რაიონის გამგეობას ედო ტვირთად.

გუშინ „სიონის“ დირექტორ გია აბაზაძეს დავუკავშირდით, რომელმაც გვითხრა, „მადნეულს“, ალბათ, ქართულ-ბრიტანული კომპანია „ინდასტრი & ენერჯი“ დაეუფლებაო...

# ენერგიულ-ინდუსტრიული სიონი?

## ბოლნისი-ჩიკვილაძე-ზესტაფონი: გზა ძალიან ჩაიხლართა

— მეც მედიით ვიგებ ამბებს. ეს კომპანია ერთადერთია, რომელიც შესასყიდი თანხის გაღებას უყოყმანოდ აპირებს და ვალების გადასახდელად მზადაა, სხვები კი „მადნეულთან“ დაკავშირებულ ძველ პრობლემებში გარკვევას ითხოვენ.

**— ამ კომპანიასთან თუ გქონდათ შეხვედრა?**

— როცა მყიდველი ოფიციალურად გამოცხადდება და ყველაფერი დალაგდება, კომპანიის ხელმძღვანელებს მაშინ შევხვდებით. სავარაუდოდ, ეს 10 ნოემბრამდე მოხდება.

**— ხომ არ არის საშიშროება, „მადნეულის“ ახალმა მფლობელმა „სიონს“ დახმარება იუაროს?**

— არანაირად. პირველ რიგში სასწრაფოდ გასასტუმრებელია ვალები. წინა სეზონში „მადნეულმა“ 115 ათასი, მიმდინარეში კი 245 ათასი ლარი დაგვაკლო. ამიტომაც „სიონის“ ყოფილ ფეხბურთელებს სატრანსფერო თანხა აქვთ ასაღები და ისინი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ჩივიან, ფედერაცია კი თავის მხრივ შეწუხებულია.

**— რა თანხაზეა ლაპარაკი?**

— 12-15 ათასი დოლარია.

**— „სიონში“ ფეხბურთელთა დიდ ნაწილს ექვსთვიანი კონტრაქტი აქვს. მათი გუნდში დარჩენა-არდარჩენაც „მადნეულის“ მფლობელებთან საუბრის შემდეგ გაირკვევა?**

— შეიძლება ითქვას, რომ რამდენიმე ფეხბურთელს სეზონის ბოლომდე უეჭველად შევინარჩუნებთ. ჯაბა დვალი და ლევან ხმალაძე 80 პროცენტით „სიონში“ დარჩებიან. როგორც იცით, ისინი თბილისის „დინამოდან“ არიან განათხოვრებულნი, „დინამოს“ კი საკმაოდ კარგი კონტინგენტი ჰყავს, თანაც, რუსული „ალანიას“ გავარდნისთანავე იქიდან ფეხბურთელების დამატებას აპირებს. არა მგონია, „დინამოს“ დვალი და ხმალაძე წამალივით სჭირდებოდეს. ასე რომ, იმედია, დინამოელები შეგნებულად არ დაგვასუსტებენ. კახა ცხადაძესთან და ბუბა ტყავაძესთანაც მეგობრული ურთიერთობა გვაქვს და ალბათ არ გაგვიმეტებენ.

**— დოლიძეს, მიკუჩაძეს, ბოლქვაძეს, ჩიკვილაძეს და სხვებსაც შეინარჩუნებთ?**

— ისინი არცერთი კლუბიდან არ გვინათხოვრია, პირობებს კარგად ვუსრულებთ და მგონი, თავადაც კმაყოფილები არიან „სიონში“ თამაშით. ძირითად ბირთვს დავტოვებთ გუნდში და ზამთრიდან აუცილებლად დავიმატებთ ოთხ-ხუთ მოთამაშეს. აი, ჩიკვილაძესთან დაკავშირებით რთულადაა საქმე — მის თაობაზე „ზესტაფონი“ გვედავება. საქმე ისაა, რომ ზესტაფონელებმა ჩიკვილაძეს სეზონის წინ გათავისუფლების ფურცელი მისცეს და, როგორც მერე თავად თქვეს, შეგვეშალაო. ფეროელებს მართლაც შეეშალათ, მაგრამ „სიონი“ რა შუაშია?!

**— თქვენთან რამდენხნიანი კონტრაქტი აქვს ჩიკვილაძეს?**

— ექვსთვიანს პლუს ექვსთვიანი და თავად ჩიკვილაძესაც არაფრის დიდებით არ სურს „ზესტაფონში“ გადასვლა.

**— აბა, რაშია პრობლემა, თუ იურიდიულად მართლები ხართ?**

— ჩიკვილაძე გასულ ზამთარში იყიდა „ზესტაფონმა“ დიდ ფასად და მისი გაშვება ასე უცებ არ უნდოდა. ზესტაფონელები გვთხოვენ, ექვსი თვე რომ გავა, ისევ ჩვენ დაგვიბრუნეთო. იურიდიულად „სიონი“ ასი პროცენტით მართალია და პირველი წრის დასრულების შემდეგ „ზესტაფონთან“ მოგვიწევს საქმის გარკვევა. კი მაგრამ, ექვსთვიანის ნაცვლად ჩიკვილაძესთან ორწლიანი კონტრაქტი რომ გაგვეფორმებინა, მაშინ რაში შემოგვედავებოდნენ ზესტაფონელები?! ყველა საკითხს განვიხილავთ, შესაძლოა, ცხარე დავაც მოგვიწიოს — ჩიკვილაძე „სიონის“ ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა და მას იოლად ვერ შევეელევით.

**ილია ნანობაშვილი**



თენგიზ ჩიკვილაძის ტრანსფერი დავის საგანი გახდა

# როცა წვიმა გადაიღებს

## ბორჯომი სახლში ბრუნდება

**დიდი შანსია**, 30 ოქტომბერს „ბორჯომმა“ მშობლიურ ქალაქში ითამაშოს. როგორც იცით, ბორჯომში სტადიონის რეკონსტრუქცია რამდენიმე თვის წინ დაიწყო, რის გამოც სოსო ფრუიძის გუნდი თბილისის „ოლიმპზე“ ატარებდა საშინაო მატჩებს. ბორჯომში ხელოვნური საფარი უკვე დაიგო და უმნიშვნელო სამუშაოებიღაა დარჩენილი. უფრო ზუსტად კი *სოსო ფრუიძემ* გვითხრა: „მინდორს სილისმაგვარი კაუჩუკის მასალა უნდა მოეყაროს, რათა ყველაფერი საბოლოოდ მოწესრიგდეს. ამას კი უამინდობა უშლის ხელს. ბორჯომში ახლა წვიმს და სანამ არ გადაიღებს, იქამდე საჭირო მასალის შეტანა არ მოხერხდება. იქნებ, ერთიორი ვარჯიში მაინც მოვასწროთ“.



„ბორჯომი“ ვარჯიშითაც ამ ხელოვნურსაფარიან მინდორზე ივარჯიშებს და წვიმა-ტალახი ხელს არ შეუშლის. ეს რაც შეეხება გაზონს, ტრიბუნები კი სტადიონს მხოლოდ ერთ მხარეს აქვს და დაახლოებით 800-1000 მაყურებელს იტევს.

„რა თქმა უნდა, მოსალოდნელია, ჩვენს საშინაო მატჩებზე გაცილებით ბევრმა გულშემატკივარმა იაროს. კლუბის ხელმძღვანელობას ეს მშვენივრად ესმის და ტრიბუნების გაზრდას გეგმავს, სამომავლო პროექტით, ბორჯომის სტადიონი 3400-დან 6000-მდე მაყურებელს დაიტევს“ — გვითხრა სოსო ფრუიძემ.

„ბორჯომი“ ორი ტურის წინ მეორე ადგილზე იყო და ზედიზედ შვიდი თამაში ჰქონდა მოგებული, თუმცა ბოლო ორ მატჩში...

ფრუიძემ გვითხრა, „კიტ ჯორჯიასთან“ და „ამერთან“ წაგებები დავიწყებულია, სწორ ანალიზს გავაკეთებთ ამ თამაშებიდან და 30 ოქტომბერს „სპარტაკს“ აუცილებლად მოვუგებთო: „მართალია, „სპარტაკი“ ერთ-ერთი აუტსაიდერია, მაგრამ ამ სეზონში მათი რამდენიმე თამაში ვნახე და ვფიქრობ, თბილისელებს სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლიათ. ამიტომაც მაქსიმალურად კონცენტრირებულები ვართ. ეგაა, დისკვალიფიცირებული რევაზ გეწაძე დაგვაკლდება, რომელიც ჩვენთვის დიდი ძალაა“.

**ილია ნანობაშვილი**



ბორჯომის სტადიონის მაკეტი

**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გრიგოლ ცაავამ სფფ-ის თანამშრომლებთან (ა. მილჩენკო, ო. გუნთაძე, რ. შენგელია, ო. ოქროშიძე, ა. შალამბერიძე, დ. ბოკერია) და მატჩების ინსპექტორებთან (გ. ჯიშკარიანი, ო. ბირკაია, გ. თავაძე) ერთად ეროვნული ჩემპიონატის პირველი და უმაღლესი ლიგების ბოლო ტურების შედეგები განიხილა. მსგავსი შეხვედრები ფედერაციაში სისტემატურად იმართება და ჩვენც მიღებულ დადგენილებებს გაგაცნობთ:

1. პირველი ლიგის გუნდების — ახალციხის „მესხეთის“, „რუსთავის“, „საგარეჯოს“ და თბილისის „მერანის“ ხელმძღვანელებმა უახლოეს ხანებში უზრუნველჰყონ საფეხბურთო მოედნების მინდვრის საფარის წესრიგში მოყვანა.

2. გორის „დილას“ ხელმძღვანელობამ უზრუნველჰყოს უსაფრთხოების სამსახურის დროულად მისვლა სტადიონზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, კლუბის მიმართ გატარდება მკაცრი სანქციები.

3. ბოლნისის „სიონის“ და ბათუმის „დინამოს“ ხელმძღვანელებს მატჩების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებისთვის გამოეცხადოთ მადლობა.

# ლივერპული დაითხოვეს



კრისტალ პალასი — ლივერპული 2:1.
დაგი ფრიდმანმა მერისაიდელებს ასე შეუგდო

## ინგლისი

**ლიგის თასი. II ეტაპი**
**ასტონ ვილა 1:0 ბარნლი**
**კრ. პალასი 2:1 ლივერპული**
**დონკასტერი 2:0 ჯილინგემი**
**ფულემი 2:3 ვესტ ბრომვიჩი**
**მენსფილდი 2:3 მილუოლი**
**სანდერლენდი 3:0 არსენალი**
**უიგანი 3:0 უოტფორდი**
**ბლეკბერნი 2:0 ლიდსი**
**რედინგი 0:3 შეფილდი**

**„კრისტალ პალასმა"** კიდევ უფრო დაძაბა რაფა ბენიტესის ყოველდღიურობა „ლივერპულის" ბოსის თანამდებობაზე.

„პალასმა" 2:1 მოუგო ჩემპიონთა თასის მფლობელს და ლიგის თასიდან დაითხოვა. ეს იყო ზედიზედ მეორე წაგება სამ დღეში — შაბათს „ლივერპულმა" „ფულემთანაც" დათმო პრემიერლიგის თამაში.

ჩემპიონთა თასის მოგებიდან სულ რაღაც 5 თვე გავიდა და რაფა ბენიტესის სკამი კი უკვე ირყევა, „ლივერპული" ახლა კრიზისშია და პრემიერლიგის ცხრილში 13-ე ადგილი უჭირავს. ერთადერთი სასიამოვნო ამბავი ის იყო, რომ შემადგენლობას სტივენ ჯერარდი დაუბრუნდა და გოლიც გაუტანა „პალასელებს", თუმცა, ეს საკმარისი არ გამოდგა, რადგან მისი ერთგვარად საიუბილეო ლივერპულული ბურთი დაგი ფრიდმანისა და მარკო რეიხის გოლებს შორის ჩაიკარგა.

იტყვიან რა დიდი ბედენაა ეგ ლიგის თასი, რომ მის 16 საუკეთესოში მოხვედრაზე „ლივერპულმა" ინაღვლოსა, მაგრამ როცა პიტერ კროუჩი და ფერნანდო მორიენტესი ბატებივით დადიან მოედანზე, ხოლო სამი ჰიპის ყველა თავური საკუთარი კარისკენ მიდის, მაშინ ცხადია, რომ „ლივერპული" ჯანზე ვერაა.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ლიონი დაეცა

## საფრანგეთი

**ლიგის თასი. I ეტაპი**
**ლორიანი 2:2 ამიენი 5:4 პ.**
**ნანტი 1:1 ლიონი 4:3 პ.**

**„ლიონს"** სეზონის დასაწყისიდან არ წაეგო და „ნანტთან" სათასო მატჩში, პენალტების სერიაში დამარცხდა. ეს გუნდები ჩემპიონატშიც შეხვდნენ და მაშინ „ნანტმა" 0:1 წააგო, თუმც თამაშით ტოლი არ დაუდო მეტოქეს.

ჟერარ ულიემ ამჯერად ნანტში ფაქტობრივად სათადარიგო შემადგენლობა ჩაიყვანა. გრეგორ კუპეს ნაცვლად კარში ვერკუტსი იდგა, დაცვაში კლერკი, მონსორო, აბიდალი და ლამინ დიატა იყვნენ. ნახევარდაცვაში — გოვუ, პედრეტი, მამადუ დიარა და ფრო, ხოლო ბრაზილიელი ფრედი ეულ ფორვარდად გაამწესეს.

„ნანტის" შეტევების შედეგად დიალომ ვერკუტს პირველ ტაიმში გაუტანა. ულიემ ნახა, რომ თამაშს აგებდა, რასაც ცვლილებები მიაყოლა. შესვენების შემდეგ მალუდა, კარეუ და ბერთოდი შეუშვა. შეხვედრის ბოლო წუთზე მალუდამ გაათანაბრა. დამატებითი დრო გუნდებმა უგოლოდ გალიეს, პენალტებში კი „ნანტის" მეკარე მიკაელ ლანდრომ იყოჩაღა. მან კარეუს და მალუდას დარტყმები მოიგერია, ნანტელთაგან კი გილომ ვერ გაიტანა.

გამარჯვებულის გამოსავლენად პენალტები დასჭირდათ მეორელიგელ „ლორიენს" და „ამიენსაც"! მასპინძლები მარშალის გოლით იგებდნენ, მაგრამ კინკელამ და სელდრანმა პირველივე ტაიმში სტუმრები დააწინაურეს. „ლორიენის" ფორვარდმა პისარდიმ 87-ეზე გაათანაბრა, თერთმეტმეტრიანი საჯარიმოების სერიაში კი დამხვედრებმა უკეთესად დაარტყეს.

**მაშა ხუციშვილი**



REUTERS ნანტიდან

ნანტი — ლიონი. მიკაელ ლანდრომ პენალტების სერიაში გაიბრწყინა


რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93-16 08; Fax: 94 33 80




REUTERS ფრანკფურტიდან

აინტრახტი — შალკე 6:0.
ფრანკფურტელები მეტოქის განადგურებას ზეიმობენ

# თვალში გვპატარავებით

## გერმანია

**თასი. II ეტაპი**
**ალემანია 1:2 ჰანოვერი**
**აინტრახტი 6:0 შალკე**
**ფრაიბურგი 4:1 ბრაუნშვაიგი**
**ნიურნბერგი 3:0 დინამო დრ**
**ერფურტი 2:4 ლაუტერნი**
**ზტ. პაული 4:0 ბოხუმი**
**უნტერჰახინგი 1:1 ზაარბრიუკენი 2:1 დდ**
**ვერდერი 1:1 ვოლფსბურგი 2:2 დდ 5:4 პ.**

**რა აჭამეს** ფრანკფურტის „აინტრახტის" ფეხბურთელებს, უცნობია, მაგრამ გოლებისთვის რომ „გაცოფდნენ", ფაქტია.

„შალკე", რომელსაც ბუნდესლიგაში თამაში არ წაეგო, „აინტრახტმა" სათასო მატჩში გამოიჭირა და 6 უპასუხო გოლით გაუმასპინძლდა. ფრანკფურტელებმა გასულ უქმეებზე „კიოლნიც" დაჩაგრეს და იქაც ექვსის გატანა შეძლეს.

საინტერესო ისაა, რომ მეათე ტურამდე, ცხრა ბუნდესლიგურ მატჩში, „აინტრახტმა" ოთხზე მეტი ვერ გაიტანა, ახლა კი მიჯრით ორ შეხვედრაში 12(!) შეაგდეს.

ნამატჩევს „შალკეს" გაოგნებულმა მწვრთნელმა რალფ რანგნიკმა ძლივს ამოღერღა: „მეორე ტაიმში ბავშვებივით ვითამაშეთ" (პირველში ხომ ბრწყინავდნენ), ხოლო გახარებულმა ფრიდჰელმ ფუნკელმა ოთხი სიტყვა თქვა: „ჩვენ ფინალში თამაში გვსურს"! შარშანდელი ფინალისტი კი სწორედ „შალკეა", რომელიც „ბაიერნთან" დამარცხდა.

მატჩის დაწყებიდან ნახევარი საათის შემდეგ „აინტრახტს" თამაში წაუვიდა და ორ წუთში ორჯერ გამოატანინეს როსტს კარიდან ბურთი. ჯერ ალექსანდრ მეიერმა იხეირა, მერე კი შვეიცარიელმა ჰუგელმა. შესვენების შემდეგ სიხერმა მესამე შეაგდო, მეოთხე კვლავ მეიერმა მიითვალა, რასაც 20 წლის ესპანელმა კოპადომ მეხუთე მიაყოლა და „ხუმარების" რბევა ოხსმა დაასრულა.

„ფრაიბურგი" „ბრაუნშვაიგთან" აგებდა, მაგრამ კუჯუს დუბლის წყალობით მეორე ტაიმში დაწინაურდა. ამას ალექსანდრე იაშვილმა მესამე დაუმატა, ბოლოს კი რონდ ანტარმა გაახარა სტუმრები.

„ვოლფსბურგის" ლეგიონერმა სტივ მარლემ „მგლები" პენალტების სერიამდე ათრია, მატჩში დუბლის შემსრულებელმა ფრანკის პენალტიც გაიტანა, მაგრამ თანაგუნდელები ვერ დაეხმარნენ და გზა „ვერდერს" დაუთმეს. ვოლფსბურგელთაგან თერთმეტი მეტრიდან კარს ააცდინეს ლეგიანდიომ და ტიამმა, ხოლო ბრემენელთაგან ნალდომ გაუშვა ბურთი ღრუბლებში.

„კაიზერსლაუტერნი" ბუნდესლიგაში მოიკოჭლებს, მაგრამ თასზე მაინც გაიხარა. „წითლები" სტუმრად „ერფურტთან" ხანგრძლივი დუბლის წყალობით იგებდნენ, მაგრამ იმდენი მოახერხეს, რომ მასპინძლებს გაათანაბრებინეს. ამის მერე „ლაუტერნი" გონს მოეგო, ბეგლარტმა და ჰალილ ალტინტოპმა ხუთ წუთში თითო-თითო გოლი გაუტანეს დამხვედრებს.

„ნიურნბერგის" მწვრთნელი ვოლფგან ვოლფი ეჭვს მოხსნას გადაურჩეს, რადგან დრეზდენის „დინამოსთან" იმარჯვებს. მარკუს დაუნმა წყვილი გოლი მიითვალა მეორე ტაიმში სტუმრებს ხელით თამაშისთვის საჯარიმო გაუქმეს, რასაც პენალტი მოჰყვა და ნიშნულიდან ბანოვიჩმა მესამე გაიტანა.

„ჰანოვერის" მეკარე ენკე ალემანიელ პინტოს 53-ე წუთზე პენალტი აუღო. ამ დროისთვის „ჰანოვერი" ბრდარიჩის გოლით იგებდა, მაგრამ „ალემანიამ" გათანაბრება მოახერხა. ბრდარიჩმა არ მოისვენა და შეხვედრის დასრულებამდე რვა წუთით ადრე სტუმართა გამარჯვებისა შეაგდო.

**მაშა ხუციშვილი**

# უიღბლო ხელმოტეხილს გაუნაწყენდნენ



გლენ ჯონსონს ალბათ „ჩელსიდან" დაითხოვენ

**ინგლისის** ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი მცველი, გლენ ჯონსონი, ალბათ „ჩელსიში" აღარ ითამაშებს. 6 მილიონ გირვანქად ნაყიდმა ფეხბურთელმა კარს მუშტი დაარტყა და ხელი მოიტეხა. ეს ამბავი 10 დღის წინათ მომხდარა და მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ ძალიან გაუბრაზებია: მე მაგის იმედი მქონდა, ახლა კი რაღა ვქნაო. ნაწყენ შეფს ისიც უთქვამს, გლენი ზაფხულში გაიყიდებაო.

ჯონსონს კარისთვის მუშტი შინ დაურტყამს, ეტყობა რამეზე თუ გაბრაზდა. მას ბოლო დროს საქმეები ცუდად მისდის. ეროვნულ ნაკრებში დანიასთან 1:4-ზე წაგების შემდეგ აღარ იწვევენ, ხოლო 21-წლამდე ნაკრების შეკრებიდან ცუდი ვარჯიშისთვის დაითხოვეს. „ჩელსიში" წლეულს მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა, ახლა კი მოტეხილობის გამო ორი თვე უნდა იუქმოს.

აქამდე ჩელსი ამბობდა, რომ მას ბარძაყის კუნთის დაჭიმულობა აქვს.

საერთოდ კი ჯონსონი რომან აბრამოვიჩის ერთ-ერთი პირველი შენაძენია „ჩელსიში" მოსვლის შემდეგ: ის ტალანტების სამჭედლოდან „ვესტ ჰემიდან" გადმოიყვანეს. კლაუდიო რანიერი ბიჭს ყოველთვის ენდობოდა, მაურინიუ კი ნაკლებად.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ჩვენ მაგათ ნოკაუტში ჩავაგდებთ

## იმუქრება მანჩესტერი

**ახლოვდება** დიდი თამაში „მანჩესტერი" — „ჩელსი". 6 ნოემბერს ლიდერი და ათწლეულის ჩემპიონი ერთმანეთს შეხვდებიან.

„მანჩესტერის" მეორე მწვრთნელი კარლუშ კეიროში ამბობს, რომ ამ თამაშს შეუძლია მთლიანად შეცვალოს ვითარება პრემიერლიგაში.

„თუკი ვინმეს შეუძლია ვითარების გადასხვაფერება, ისევ ჩვენ", აცხადებს კეიროში, „ჩელსის" ორჯერ უნდა შევხვდეთ: ესეც 6 ქულაა. ჩვენ ვიცით, რომ საჩემპიონო ბრძოლას გავუხსნით მსოფლიოს საუკეთესო გუნდს. ვიცით სად ვართ და რა გვინდა".

ნახევარმცველი დარენ ფლეტჩერი კი მწვრთნელს ეთანხმება: „შაბათს „ჩელსიმ" სისუსტეები გამოაჩინა. თუ აუსტაიდერი გართმევს ქულის, ესე იგი, ამის გაკეთება ყველას შეუძლია. ჩვენცა და სხვა გუნდებსაც „ევერტონმა" ყველს დაგვანახა, რომ უნაკლო არავინაა".



კარლოს კეიროშს (მარცხნივ) და ალექს ფერგიუსონს იმედი კვლავ აქვთ

**ირაკლი გამყრელიძე**

# მე რა შუაში ვარ?

## მაურინიუს მიაკითხეს

„**სეტუბალის**" ფეხბურთელებმა ჟოზე მაურინიუს ფირმანი გაუგზავნეს, არიქა, გვიშველე, უფულობით სულს ვლაფავთო. სეტუბალელ მოთამაშეებს აგვისტოს შემდეგ თურმე ჯამაგირი არ მიუღიათ და მაურინიუს დახმარებისთვის მიადგნენ. „ჩელსის" მწვრთნელი სეტუბალელი ყოფილა და მისი ამიტომაც ეიმედებათ.



„სეტუბალის" ფეხბურთელებმა ხუთშაბათამდე ვალების გასტუმრება მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შაბათს, 29 ოქტომბერს, „პორტუსთან" სათამაშოდ არ ჩავლენ. არადა, კლუბი მათი კონტრაქტების გაუქმებას აპირებს, რადგან ფული არა აქვს.

„მაურინიუ, „სეტუბალს" სჭირდები!" — ასეთი პლაკატი გამოფინეს უფულოთა ფანებმა გასულ კვირას „გიმარაეშთან" წაგებული მატჩისას.

„ჩელსის" მწვრთნელს ჯერ პასუხი არ გაუცია, მაგრამ ამბობენ, რომ შესაძლოა გაჭირვებული პორტუგალიური კლუბის დახმარება რომან აბრამოვიჩმა იკისროს.

„სეტუბალი" რვა ტურის შემდეგ ჩემპიონატში მეექვსე ადგილზეა.

**ვაჟა ხუციშვილი**



დავიდ პიზარო



ანტონიო კასანო

# გაცვლა

## ალბერტინის დაისი

**მილანის** „ინტერმა" „რომას" ეგებ დავიდ პიზარო ანტონიო კასანოში გაუცვალოს და ეს ამბავი იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას მოხდება.

კასანომ კლუბთან ახალ კონტრაქტზე მორიგება ვერ შეძლო, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდში დიდხანს არ გააჩერებენ. კლუბი ჭირვეული ფეხბურთელის საქციელით უკმაყოფილოა და მისი „მოშორება" სურს.

ტურინის „იუვენტუსსა" და „მილანსაც" უნდათ ანტონიო კასანოს გადაბირება, მაგრამ „ინტერი" ირწმუნება, „რომას" ისეთ გარიგებას შევთავაზებთ, როგორზეც ოცნებობენო.

„რომას" ამჟამინდელ და „უდინეზეს" ყოფილ თავკაც ლუჩანო სპალეტის ზაფხულშივე ეწადა დავიდ პიზაროს „რომაში" გადაყვანა, მაგრამ უეფასგან ტრანსფერაკრძალულმა რომაელებმა საქმე ვერ გაჩარხეს.

პიზარომ დედაქალაქს მილანის „ინტერი" არჩია, თუმც სეზონის დაწყებიდან გამოჩნდა, რომ ხუან სებასტიან ვერონთან ჭიდილი და ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება გაუჭირდება. ამიტომ „ინტერი" შეეცდება, ჩილელი ფეხბურთელი კასანოში გაცვალოს. ლუჩანო სპალეტის აზრით, პიზაროს დონის ნახევარმცველი ბევრი არაა. „იგი ფიზიკურად ძლიერია და თითქოს სისწრაფე აკლია, მაგრამ პასის ნამდვილი ოსტატია" — თქვა სპალეტიმ.

ამასობაში დემეტრიო ალბერტინის კარიერის დასასრული მოახლოვდა. 34 წლის ფეხბურთელი „რომაშია" და თავისუფალი აგენტია. მან „მილანში" თხუთმეტი წელი გაატარა. ორჯერ ესპანეთმოვლილი „ბარსელონადან" შინ დაბრუნდა და ახლა რომაელია, მაგრამ ასაკის გამო ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას აპირებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## იტალია

### სერია B

### XII ტური

**არეცო 3:1 აველინო**

0:1 მორეტი (54), 1:1 აბრუსკატო (57), 2:1 ფლორესი (62), 3:1 რაიმონდი (89)

**ატალანტა 1:0 ბოლონია**

1:0 ვენტოლა (8)

**ბარი 2:1 ვიჩენცა**

1:0 ვანტაგიატო (15), 2:0 კარუსი (54პ), 2:1 კამოლეზე (63)

**კატანძარო 1:2 ბრეშა**

0:1 სტანკევიჩიუსი (10), 1:1 კორონა (18), 1:2 მილანეტო (60)

**ჩეზენა 0:0 კროტონე**

**მოდენა 3:0 კრემონეზე**

1:0 ბუჩი (33), 2:0, 3:0 ასამოა (84, 90)

**პიაჩენცა 4:0 ტერნანა**

1:0, 2:0 კაჩა (11, 23), 3:0, 4:0 დეგანო (29, 59)

**ტრიესტინა 1:2 კატანია**

1:0 გობესი (42პ), 1:1, 1:2 სპინეზი (60, 83)

**ვერონა 0:0 ალბინოლეფე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 11 | 8 | 3 | 0 | 19:7 | 27 |
| მოდენა | 12 | 6 | 5 | 1 | 15:6 | 23 |
| ტორინო | 11 | 6 | 4 | 1 | 11:4 | 22 |
| ჩეზენა | 12 | 6 | 3 | 3 | 18:14 | 21 |
| ატალანტა | 12 | 7 | 0 | 5 | 15:14 | 21 |
| ბრეშა | 12 | 5 | 5 | 2 | 18:12 | 20 |
| არეცო | 12 | 5 | 5 | 2 | 15:9 | 20 |
| ტრიესტინა | 12 | 5 | 4 | 3 | 11:7 | 19 |
| კატანია | 12 | 5 | 4 | 3 | 17:14 | 19 |
| ვერონა | 12 | 4 | 6 | 2 | 11:7 | 18 |
| კროტონე | 12 | 5 | 3 | 4 | 13:10 | 18 |
| პიაჩენცა | 12 | 4 | 4 | 4 | 18:16 | 16 |
| ბოლონია | 12 | 4 | 4 | 4 | 14:13 | 16 |
| რიმინი | 11 | 3 | 5 | 3 | 15:13 | 14 |
| ბარი | 12 | 3 | 5 | 4 | 13:14 | 14 |
| ალბინოლეფე | 12 | 2 | 6 | 4 | 9:10 | 12 |
| პესკარა | 11 | 3 | 2 | 6 | 12:18 | 11 |
| ვიჩენცა | 12 | 3 | 2 | 7 | 12:20 | 11 |
| აველინო | 12 | 2 | 3 | 7 | 11:22 | 9 |
| კატანძარო | 12 | 2 | 1 | 9 | 7:17 | 7 |
| კრემონეზე | 12 | 1 | 3 | 8 | 8:19 | 6 |
| ტერნანა | 12 | 1 | 3 | 8 | 6:22 | 6 |

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XI ტური

**აბერდინი 2:0 დანდი იუნ.**

1:0 სმიტი (36), 2:0 კროუფორდი (43)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰართსი | 11 | 9 | 2 | 0 | 26:7 | 29 |
| სელტიკი | 11 | 8 | 2 | 1 | 26:10 | 26 |
| ჰიბერნიანი | 11 | 7 | 1 | 3 | 20:12 | 22 |
| რეინჯერსი | 11 | 6 | 2 | 3 | 20:10 | 20 |
| კილმარნოკი | 11 | 4 | 3 | 4 | 19:19 | 15 |
| მოზერუელი | 11 | 4 | 2 | 5 | 22:23 | 14 |
| აბერდინი | 11 | 3 | 4 | 4 | 13:13 | 13 |
| ინვერნესი | 11 | 3 | 4 | 4 | 12:12 | 13 |
| დანდი იუნ. | 11 | 3 | 4 | 4 | 14:16 | 13 |
| ფოლკირკი | 11 | 2 | 3 | 6 | 9:22 | 9 |
| დანფერმლაინი | 11 | 1 | 2 | 8 | 7:22 | 5 |
| ლივინგსტონი | 11 | 0 | 3 | 8 | 3:25 | 3 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა

### XVI ტური

**რაპიდი 3:2 გრაცერი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 15 | 9 | 1 | 5 | 21:15 | 28 |
| აუსტრია | 15 | 8 | 2 | 5 | 21:17 | 26 |
| პაშინგი | 15 | 6 | 6 | 3 | 19:11 | 24 |
| შტურმი | 15 | 6 | 5 | 4 | 22:20 | 23 |
| რაპიდი | 15 | 6 | 4 | 5 | 25:18 | 22 |
| გრაცერი | 15 | 6 | 4 | 5 | 21:17 | 22 |
| მატერსბურგი | 15 | 5 | 3 | 7 | 18:25 | 18 |
| რიდი | 15 | 3 | 8 | 4 | 18:20 | 17 |
| ტიროლი | 15 | 3 | 7 | 5 | 16:24 | 16 |
| ადმირა | 15 | 2 | 2 | 11 | 20:34 | 8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამუელმა სამეფო გალანძღა



**ინტერელი** ვალტერ სამუელი მადრიდის „რეალზე" და იქ გატარებულ პერიოდზე ალაპარაკდა.

„ესპანურ კლუბს ჩემი შესაძლებლობების არ სჯეროდა და იქაური იჩჩასებიც რაღაცნაირად, აგდებულად მიყურებდნენ. გამიმართლა, რომ „რეალიდან" წამოვედი. პრიმერადივიზიონში დარჩენის შემთხვევაში ბევრი სიძნელე შემექმნებოდა" — განუცხადა არგენტინელმა ფეხბურთელმა „კორიერე დელა სერას" კორესპონდენტს.

სამუელის თქმით, პირენეულ გრანდში გატარებული სეზონი მის კარიერაში უცუდესი გახლდათ, თუმცა, საბედნიეროდ, ვალტერის ჰორიზონტზე მილანის „ინტერი" გამოჩნდა და...

„ინტერი" მაშინ ერთადერთი კლუბი იყო, რომელიც ჩემი შეძენით სერიოზულად დაინტერესდა. იმ დროს „რეალში" უკვე აღარ მსურდა ყოფნა. ვგრძნობდი, „სანტიაგო ბერნაბეუზე" უსარგებლო მოთამაშედ მთვლიდნენ... „სან სიროზე" კი მშვენივრად ვარ. აქ სხვა არგენტინელებიც ბურთაობენ და ერთობ მეგობრული გარემოა" — აღნიშნა „ნიუელს ოლდ ბოისის", „რომასა" და „რეალის" ყოფილმა მცველმა.

„ელ მუროდ" (იტალიურად კედელი) წოდებული ვალტერის გარდა „ინტერნაციონალეში" კიდევ 7 (!) პატაგონიელი თამაშობს — ხავიერ ძანეტი, ესტებან კამბიასო, ხუან სებასტიან ვერონი, ხულიო კრუზი, კრისტიან განსალესი, ნიკოლას ბურდისო და სანტიაგო სოლარი.

„ყველაზე ხშირად ბიჭები მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატში ვსაუბრობთ. წესით, არგენტინის ნაკრებმა გერმანიის მუნდიალზე კარგ შედეგს უნდა მიაღწიოს" — თქვა ოკეანისგაღმელმა მოთამაშემ.

**ლადო ხომერიკი**

# პარმა რანიერიზე ფიქრობს

**იტალიურ** „პარმას" მალე ალბათ ახალი მწვრთნელი ეყოლება. აპენინელთა მუდმივი წაგებებით გაბრაზებულმა კლუბის პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა მარიო ბერეტას, თავის ამჟამინდელ დამრიგებელს, ორმატჩიანი ულტიმატუმი წაუყენა. თუ სენიორ ბერეტა „მესინასთან" და „ლივორნოსთანაც" თავს შეირცხვენს, მადრიდელი სანსი „პარმას" თავკაცად კლაუდიო რანიერის მოიყვანს.



როგორც სპორტული მედია აცხადებს, „პარმას" სპორტულ დირექტორ ორესტე ჩინკინის მწვრთნელად ჩეხი ზდენეკ ზემანი ერჩივნა, თუმცა კლუბის მფლობელის ფავორიტი ექვსვალენსიელი რანიერია.

კლაუდიო რანიერი 46 წლისაა და დღეს უგუნდოდაა დარჩენილი. გარდა „ვალენსიასი", თავის დროზე რომაელი სპეციალისტი ლონდონური „ჩელსის", მადრიდის „ატლეტიკოს", „ფიორენტინას", „ნაპოლის", „კალიარისა" და „კამპანიას" მწვრთნელი იყო.

„ჯერჯერობით „პარმას" დამრიგებელი ისევ მარიო ბერეტაა, თუმცა სერია A-ში კლუბის კვლავ დამარცხების შემთხვევაში მწვრთნელობას კლაუდიო რანიერის ჩავაბარებთ. იგი გამოცდილი სპეციალისტია და ჩემპიონატში შექმნილი სირთულეების დაძლევას იოლად მოახერხებს" — განაცხადა ლორენსო სანსმა „ლა გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში.

დღეს სანსის და ბერეტას „პარმა" იტალიელთა სატურნირო ცხრილის ფსკერზეა გაჭედილი.

**ლადო ხომერიკი**

# მაქსი ბარსას ტოვებს



„**ბარსელონას**" არგენტინელი მოთამაშე მაქსი ლოპესი იანვრის სატრანსფერო ბაზარზე სავარაუდოდ კატალონიურ გრანდს დატოვებს და სათამაშოდ სხვა არენას მიაშურებს. მას შემდეგ, რაც მაქსის თანამემამულე ლეო მესი და სახელოვანი შვედი ჰენრიკ ლარსონი „ბარსას" ძირითადი ფორვარდის, სამუელ ეტოოს შემცვლელებად „დაკანონდნენ", „ელ ტიგრემ" „კამპ ნოუზე" ბურთაობის თითქმის ყველანაირი შანსი დაკარგა.

„მაქსი ბარსელონაში ბედნიერია, თუმცა რაჩან მას თამაშის საშუალება პრაქტიკულად არ ეძლევა, იძულებული გავხდებით, იანვარში სხვა კლუბს მივაშუროთ" — უთხრა გუშინ დარიო ბომბინომ, არგენტინელის წარმომადგენელმა ესპანურ „ელ მუნდო დეპორტივოს".

მაქსიმალიანო გუსტავო ლოპესი, იგივე „არგენტინული ტანკი", იგივე „ვეფხვი", ფრანკ რაიკაარდის გუნდში „რივერ პლეიტიდან" 2005 წლის იანვარში მივიდა. მაშინ კატალონიელებმა 21 წლის თავდამსხმელში 6 მილიონი ევრო გადაიხადეს და სატრანსფერო ხელშეკრულებით მაქსისთან კონტრაქტის გაწყვეტაც კი 40 მილიონი ევრო ღირს.

აქამდე „ვეფხვს" მხოლოდ ერთხელ მიეცა თავის გამოჩენის საშუალება. წინა სეზონის ჩემპიონთა ლიგაზე „ჩელსისთან" „ბარსას" შემადგენლობაში ჯერჯერობით ბოლო გოლი გაიტანა. ლოპესი „რივერ პლეიტთან" ერთად არგენტინის სამგზის ჩემპიონი (2002-2003-2004) იყო და ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში ბურთაობის გამოცდილებაც აქვს.

**ლადო ხომერიკი**



ემილიო ბუტრაგენიო

# რონალდო, რეალის არტილერისტი

**ემილიო ბუტრაგენიო**, მადრიდის „რეალის" ვიცე-პრეზიდენტი, გუშინ ესპანურ „მარკას" შეხვდა და სამეფო გუნდის შესახებ გესაუბრა. მედიასთან მასლაათისას „ელ ბუიტრემ" რონალდოს ტრავმა გაიხსენა და აღნიშნა, რომ რეალისთანა გრანდ კლუბი ერთ ფეხბურთელზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. თუმცა, მადრიდელის აზრით, „სანტიაგო ბერნაბეუს" კიჟა მსოფლიოს ყველაზე ზუსტი მეგოლეა.

„რეალი" დიდი ფეხბურთის იმ გრანდთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებშიც ცალკეული მოთამაშეები აშინდს ვერ ქმნიან. თუმცა რონალდოს შემთხვევა განსაკუთრებულია. ბრაზილიელი ყველა ტურში „ბერნაბეუს" ინჩადას ლამაზი გოლებით აჯილდოებს. ვფიქრობ, დღევანდელ მსოფლიოში რონალდო ყველაზე სახიფათო მეგოლეთა შორისაა" — ამბობს „ელ ბუიტრე".

ვიცე-პრეზიდენტს უყურადღებოდ არც დაშავებული ზინედინ ზიდანი დარჩენია: „ზიზუმ რამდენიმე ძალიან დაძაბული მატჩი ჩაატარა და მისი ტრავმა მოულოდნელი ბრძოლის შედეგია. ახლანდელი შესვენება ზიდანისთვის სასარგებლო იქნება".

სამეფო გუნდის ერთ-ერთმა თავკაცმა „მარკასთან" „რეალ-ვალენსიას" ამასწინანდელი სკანდალური მატჩიც ახსენა: „ვალენსიელებთან ჯახი შეხვედრის არბიტრმა დაუდევ იბანიესმა ჩაავლო. ამ მხრივ სამხრეთამერიკულ საკლუბო ჩემპიონატებს დიდ პატივს ვცემ. იქ მატჩის მთავარ გმირად მსაჯი კი არა, ფეხბურთელები გვევლინებიან. რაც უფრო შეუმჩნეველი იქნება არბიტრი მოედანზე, მით უფრო სასარგებლოა თამაშისთვის".

**ლადო ხომერიკი**

# მეხიკოში მარკესის მცველი მოკლეს

**მექსიკაში** „ბარსელონას" ფეხბურთელის, რაფაელ მარკესის ოჯახი სიკვდილს ძლივს გადაურჩა. მეხიკოს მავან ბენზინგასამართ სადგურზე ბანდიტებმა მარკესის მეუღლის კუთვნილი მანქანის გატაცება სცადეს, თუმცა საქმეში ოჯახის პირადი მცველი ჩაერია და დიდი სროლა-კრეულობაც ატყდა. საბოლოოდ პოლიციამ ბოროტმოქმედთა დაკავება შეძლო, თუმცა მათ მანამდე 38 წლის ხოსე აველინო სოლანი, მარკესის ცოლის ბოდიგარტი, სასიკვდილოდ დაჭრეს...

„რასაკვირველია, მომხდარით ძალიან შეძრწუნებულები ვართ. იქ მანქანასთან, ჩემი მეუღლე და შვილები იყვნენ. ხომ შეიძლებოდა, მძარცველის ტყვიას რომელიმე მათგანი ემსხვერპლა. მოიხედეს, რომ ხოსე მაშინ დაიღუპა, როცა ადრიანას (მარკესის მეუღლე) გადარჩენას ცდილობდა... მის ოჯახს ყველანაირად დავეხმარებით. სამწუხაროდ ეს ყველაფერი" — განუცხადა მედიას თავად რაფაელ მარკესმა.

**ლადო ხომერიკი**



ადრიანა და რაფაელ მარკესები

# არსუაგას არგენტინა



**გრეგორიო პერესის** „არგენტინოს ხუნიორსს“ პატაგონიელმა ჟურნალისტებმა 2005 წლის აპერტურას აღმოჩენა შეარქვეს. ახალგაზრდებით დაკომპლექტებულმა კლუბმა იქაურ მრისხანე გრანდებს ტოლს არ უდებს და დღეს ჩემპიონატის ცხრილში „არგენტინოსი“ მესამე ადგილზეა.

იქაური მედიის ცნობით, პერესის აგენტები კლუბისთვის ახალ თავდამსხმელს დაეძებენ — „ველეს სარსფილდიდან“ იჯარით მოსულმა ხუან მარტინესმა აპერტურას წინა ტურში ტრავმა მიიღო. „არგენტინოსის“ სამიზნეზე ამჟამად ორი მოიერიშეა — „ბოკა ხუნიორსის“ გილიერმო ბაროშ შელოტო და „ინდეპენდიენტეს“ ხერემიას კაიანო. თუმც თავდასხმის ხაზის გასაძლიერებლად სხვა, უცხოური ვარიანტიც არსებობს — კოლუმბიური „ბარანკილას“ ფორვარდი მარტინ არსუაგა.

ეს ფეხბურთელი საამსეზონოდ თითქოს „რივერ პლეიტში“ უნდა გადასულიყო, მაგრამ სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა და ისევ მშობლიურ გუნდში მოუწია დარჩენა. დღეს არსუაგა ჯანზეა და, თუ არგენტინულ „კლარინს“ ვენდობით, პატაგონიურ ლიგაში მოხვედრაზე ოცნებობს. ერთადერთი დაბრკოლება მარტინ არსუაგას „არგენტინოს ხუნიორსში“ მოსახვედრად მისი კოლუმბიურ კლუბში მსუყე ანაზღაურებაა. მდიდარი „ბარანკილა“ თავის მოიერიშეს უხვად უხდის, რასაც ჯიბექესატი არგენტინელები ალბათ ვერ მოახერხებენ.

**ლადო ხომერიკი**

# სკოლარი მოსკოვში



**რუსული** მედიის ცნობით, ლუიშ ფელიპე სკოლარი უახლოეს დღეებში მოსკოვში ჩავა, რათა „დინამოს“ ახლოს გაეცნოს და კლუბის ავანჩავანი შეისწავლოს. რატომ დაინტერესდა სკოლარი „დინამოთი“? რუსები ამტკიცებენ, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ ულვაშა ბრაზილიელი დედაქალაქელებს ჩაიბარებს.

რუსეთში სკოლარის ჩასვლის ზუსტი თარიღი უცნობია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ეს კვირის ბოლოს მოხდება. თითქოს ბრაზილიელს მოუსურვებია პირადად გასცნობოდა მოსკოვური კლუბის ინფრასტრუქტურას. მედიისთვის ეს ამბავი „დინამოს“ პატრონ ალექსეი ფედორიჩევს გაუმხელია.

აქვე ვთქვათ, რომ „ლოკომოტივთან“ მატჩის (2 ოქტომბერი) შემდეგ „დინამოს“ ბრაზილიელი თავკაცი ივო ვორტმანი სამი დღით პორტუგალიაში წავიდა, სკოლარის ეთათბირა და კოლეგა მოსკოვში ვიზიტზე დაითანხმა.

შეგახსენებთ — ვორტმანს კლუბთან კონტრაქტი 2006 წლის ზაფხულამდე აქვს, ხოლო სკოლარი მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შემდეგ პორტუგალიის ნაკრებს გაეყრება. ასე რომ, გამორიცხული არაა, ვორტმანი და სკოლარი „დინამოში“ ერთად აღმოჩნდნენ. ჯიბესქელი ფედორიჩევი ხომ კარგი გადამხდელია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დაბრუნება ჰოლანდიაში
## სტამს სამშობლო მოენატრა



**იაპ სტამის** აგენტის თქმით, ფეხბურთელი მომავალ ზაფხულს „მილანიდან“ წასვლას აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ კლუბთან კონტრაქტი 2007 წლამდე აქვს.

აგენტმა ჰენკ ვან გინკელმა განაცხადა, ჩემს კლიენტს სამშობლოში დაბრუნება და ოჯახთან ერთად იქ ცხოვრება გადაუწყვეტიაო.

„ორმა ჰოლანდიურმა კლუბმა უკვე გააცხადა სტამის გადაბირების სურვილი — აღნიშნა ვან გინკელმა — ჩვენ „მილანთან“ ამის თაობაზე ვისაუბრებთ და ვნახავთ, რა გამოვა“.

ეს ორი კლუბი კი სავარაუდოდ „ჰერენვენი“ და „პსვ ეინდჰოვენია“.

სტამის კარიერა 1992 წელს „ზვოლეში“ დაიწყო. მერე „კამბურისა“ და „ტილბურგის“ გავლით პსვ-ში გაგრძელდა, სადაც სამი სეზონი დაყო. ეინდჰოვენიდან „მანჩესტერ იუნიატედში“ გადაბარგდა და ფერგიუსონის ხელქვეით სამჯერ პრემიერლიგის ჩემპიონი, ერთხელ კი (1999) ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა. იმავე წელს ინგლისის ასოციაციის და საკონტინენტთაშორისო თასს დაეუფლა. 2001-ში „ლაციოში“ გადავიდა, საიდანაც შარშანწინ „მილანს“ მიაშურა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მარტინ ფერგიუსონი იაიას აკვირდება



**„მანჩესტერ იუნაიტედის“** სკაუტი, ალექს ფერგიუსონის ძმა მარტინი საბერძნეთში ფეხბურთელის დასაზვერად ჩასვლას აპირებს. მანჩესტერელებს „ოლიმპიაკოსის“ ნახევარმცველი იაია ტურეს თამაში მოსწონებიათ. იაია კოლო ტურეს ძმაა, რომელიც ლონდონის „არსენალის“ მცველია.

სერ ალექს ფერგიუსონს იანვარში ნახევარმცველის დამატება სურს. კანდიდატთა შორის უმცროსი ტურეს გარდა ლიონელი მამადუ დიარა, ჟუნინიო პერნამბუკანო და ფლორენ მალუდაც არიან. 22 წლის იაია ტურეს დონეცკის „მეტალურგში“ და ბელგიურ „ბევერენში“ უთამაშია. სამთვენახევარია „ოლიმპიაკოსში“ გამოდის და უკვე ევრობობოლათა ყურადღება მიიქცია.

კოლო ტურეს უთქვამს, ჩემზე გაცილებით ძლიერიაო. უცნაურია, რომ „არსენალის“ მწვრთნელმა არსენ ვენგერმა პატარა ტურე აქამდე ვერ შეამჩნია და კოტ დივუარელი ფეხბურთელი შესაძლოა, „მანჩესტერ იუნაიტედში“ აღმოჩნდეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ძმა ძმასთან



**თურქეთის** ნაკრებისა და „კაიზერსლაუტერნის“ ფორვარდი ჰალილ ალტინტოპს გუნდიდან წასვლა გადაუწყვეტია. კლუბთან მისი კონტრაქტი მომავალი წლის ივნისში იწურება.

„მე აუცილებლად წავალ — თქვა თურქმა — მაგრამ ჯერ არ ვიცი, რომელ გუნდში. ვერავინ იტყვის, რომ „ლაუტერნში“ თავი დავზოგე და გულიანად არ ვავისარჯე“.

22 წლის ალტინტოპი უკვე მესამე წელია „კაიზერსლაუტერნში“ პირველ სეზონში 26 მატჩში — 2, მეორეში — 30 მატჩში 6, ამ სეზონში კი ათ ტურში ათი გოლი მიითვალა და ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირია. გერმანული მედიის ცნობით, ჰალილ ალტინტოპს გელზენკირხენის „შალკე“ ეპატიჟება, სადაც მისი ძმა ჰამიტი თამაშობს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# პერინის ადვოკატი

**„პორტსმუთის“** სერბმა პატრონმა მილან მანდარიჩმა მწვრთნელ ალენ პერინის ვექილობა იკისრა.

ზღვისპირელები ათი ტურის შემდეგ პრემიერლიგაში ერთი მოგებით და შვიდი ქულით მეჩვიდმეტე ადგილზე არიან. გასულ ტურში, „ჩარლტონთან“ მოგებული პირველი ტაიმის მერე შეხვედრა დათმეს და ხელცარიელნი დარჩნენ. ბრიტანულმა მედიამ უმალ გაავრცელა ცნობა, თითქოს მანდარიჩი პერინის მოხსნას აპირებს, თუკი უახლოეს ორ მატჩში გუნდი ქულებს ვერ მოიხვეჭს. „პორტსმუთს“ ჯერ სტუმრად „სანდერლენდთან“ შემდეგ კი შინ „უიგანთან“ თამაში ელის.

სერბმა მილიონერმა გუშინ უარყო ფრანგის გათავისუფლების ვერსია: „ჩვენ ძალიან კარგი მწვრთნელი გვყავს. ის ნამდვილი პროფესიონალია, გუნდისთვის თავს არ დაზოგავს და მხარდაჭერა სჭირდება. ცხადია, მომდევნო ორ მატჩში ქულები უნდა ავიღოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ შეხვედრების შედეგებზე პერინის მომავალმა დამოკიდებული“

# წარმოგიდგენთ

### ინგლისი. პრემიერლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:45 | 1 | უიგანი-ფულემი | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 16:00 | 2. | ტოტენჰემი-არსენალი | 2.80 | 3.10 | 2.40 | 1.47 | 1.29 | 1.35 |
| 18:00 | 3 | ბირმინგემი-ევერტონი | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| 18:00 | 4 | ჩარლტონი-ბოლტონი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 18:00 | 5 | ჩელსი-ბლექბერნი | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| 18:00 | 6 | ჩელსი-ბლექბერნი 0:1 | 1.45 | 5.00 | 4.00 | | | |
| 18:00 | 7 | ლივერპული-ვესტ ჰემი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 18:00 | 8 | სანდერლენდი-პორტსმუთი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 20:15 | 9 | მიდლსბრო-მანჩესტერი | 4.50 | 3.30 | 1.75 | 1.90 | 1.25 | 1.14 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 11 | ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი | 2.80 | 3.10 | 2.40 | 1.47 | 1.29 | 1.35 |
| | | **31 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 12 | სიტი-ასტონ ვილა | 1.80 | 3.20 | 4.40 | 1.15 | 1.27 | 1.85 |

### ინგლისი. ჩემპიონატი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 14 | ბარნლი-ჰალი | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 15 | ბრაიტონი-იფსვიჩი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 18:00 | 16 | ქოვენთრი-ლუტონი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 18:00 | 17 | ქრიუ-კრისტალ პალასი | 3.40 | 3.20 | 2.00 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| 18:00 | 18 | დერბი-ქპრ | 2.15 | 3.30 | 3.00 | 1.30 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 19 | ნორვიჩი-უენსდი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 18:00 | 20 | პრესტონი-ლესტერი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 21 | რედინგი-ლიდსი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 18:00 | 22 | შეფილდი-კარდიფი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 18:00 | 23 | საუთჰემპტონი-სტოკი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 18:00 | 24 | უოტფორდი-ვულვერჰემპტონი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:30 | 25 | პლიმუთი-მილუოლი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |

### ინგლისი. I ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 28 | ბარნსლი-უოლსოლი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 29 | ბრენტფორდი-ბორნმუთი | 1.80 | 3.10 | 4.00 | 1.13 | 1.24 | 1.74 |
| 18:00 | 30 | ბრისტოლი-საუთენდი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 31 | კოლჩესტერი-იოვილი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 32 | დონკასტერი-ტრანმერი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 18:00 | 33 | ჯილინგემი-ბლეკპული | 2.00 | 3.10 | 3.40 | 1.21 | 1.25 | 1.62 |
| 18:00 | 34 | ჰადერსფილდი-სუინდონი | 1.45 | 3.70 | 6.10 | 1.04 | 1.17 | 2.30 |
| 18:00 | 35 | დონსი-როტერჰემი | 2.30 | 3.10 | 2.70 | 1.32 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 36 | ნოტინგემი-ბრედფორდი | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 18:00 | 37 | პორტ ვეილი-ჰარტლპული | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 18:00 | 38 | სკანთორპი-ოლდემი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 39 | სუონსი-ჩესტერფილდი | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |

### ინგლისი. II ლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 41 | ბარნეტი-რაშდენი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 18:00 | 42 | ბოსტონი-ტორკი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 18:00 | 43 | ბერი-ნოტსი | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 18:00 | 44 | კარლაილი-სტოკპორტი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 45 | ჩელტენემი-მენსფილდი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 18:00 | 46 | ლეიტონი-ოქსფორდი | 1.90 | 3.10 | 3.75 | 1.17 | 1.26 | 1.69 |
| 18:00 | 47 | მაკლსფილდი-როვერსი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 18:00 | 48 | ნორთჰემპტონი-გრიმსბი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 49 | როჩდეილი-ლინკოლნი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 18:00 | 50 | შრიუსბერი-ჩესტერი | 2.45 | 3.10 | 2.60 | 1.36 | 1.26 | 1.41 |
| 18:00 | 51 | რექსემი-დარლინგტონი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 52 | უიკომბი-პიტერბრო | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |

### ინგლისი. კონფერენსი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 53 | აკრინგტონი-იორკი | 2.15 | 3.30 | 2.75 | 1.30 | 1.20 | 1.50 |
| 18:00 | 54 | კემბრიჯი-ქროული | 1.95 | 3.30 | 3.20 | 1.22 | 1.21 | 1.62 |
| 18:00 | 55 | კონვი-მორიკომბი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 18:00 | 56 | დაგ ენდ რედი-ფორესტ გრინი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 18:00 | 57 | ექსეტერი-ტემუორთი | 1.55 | 3.40 | 5.00 | 1.06 | 1.18 | 2.02 |
| 18:00 | 58 | გრეივსენდი-სტივენეჯი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 18:00 | 59 | კიდერმინსტერი-ჰერეფორდი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 18:00 | 60 | სკარბორო-ალდერშოტი | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 18:00 | 61 | საუთპორტი-გრეისი | 3.20 | 3.30 | 1.95 | 1.62 | 1.21 | 1.22 |
| 18:00 | 62 | უოკინგი-ჰალიფაქსი | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 63 | ბარტონი-ალტრინჰემი | 2.20 | 3.30 | 2.70 | 1.32 | 1.21 | 1.48 |

### გერმანია. I ბუნდესლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **29 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 106 | დორტმუნდი-მიონხენგლადბახი | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| 17:30 | 107 | დუისბურგი-ვოლფსბურგი | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| 17:30 | 108 | ჰამბურგი-შალკე | 2.30 | 3.00 | 3.10 | 1.30 | 1.32 | 1.52 |
| 17:30 | 109 | კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 17:30 | 110 | კიოლნი-ბაიერნი | 5.50 | 3.90 | 1.50 | 2.28 | 1.17 | 1.08 |
| 17:30 | 112 | შტუტგარტი-ჰერტა | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 17:30 | 113 | ვერდერი-აინტრახტი | 1.40 | 4.10 | 7.50 | 1.04 | 1.17 | 2.65 |
| | | **30 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:30 | 115 | არმინია-ჰანოვერი | 2.15 | 3.10 | 3.20 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| 19:30 | 116 | მაინცი-ნიურნბერგი | 2.05 | 3.20 | 3.35 | 1.24 | 1.27 | 1.63 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **28 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 117 | ალენი-ზაარბრიუკენი | 1.85 | 3.40 | 3.60 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 21:00 | 118 | ბოხუმი-პადერბორნი | 1.60 | 3.70 | 4.60 | 1.11 | 1.18 | 2.05 |
